

*COVID-19-ის გავლენის შედეგად შექმნილ ცვალებად გარემოში  
გასათვალისწინებელი პრიორიტეტული საკითხები*

COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებულმა გლობალური მოვლენებმა გავლენა მოახდინა აუდიტორების სამუშაოზეც. განუსაზღვრელობამ და არაპროგნოზირებადობამ შეიძლება გამოიწვიოს ან არსებითი უზუსტობების ახალი რისკების წარმოქმნა, ან არსებულის გააქციურება ახლანდელ გარემოებებში. აუდიტის დაგეგმვისას, აუდიტორებს შეიძლება არ ჰქონდეთ გათვალისწინებული ეს რისკები, ან შეიძლება განსხვავებულად ჰქონდეთ გათვალისწინებული გამოვლენილი რისკები.


სუბიექტები, რომელთა აუდიტიც ტარდება, ერგებიან ცვალებად გარემოს, რომელიც დაკავშირებულია მათ ბიზნესსა და ოპერაციებთან, მათ შორის სათანადოდ ცვლიან ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესებს, ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებულ ინფორმაციას და ხელახლა აფასებენ უახლოეს მომავალში საქმიანობის შენარჩუნების შესაძლობლობებს.

აუდიტორებმაც უნდა შეცვალონ მიდგომა, როგორ  
მოიპოვებენ ისინი ამ სიტუაციაში საკმარის და შესაფერის აუდიტორულ  
მტკიცებულებებს, რომლებსაც ყყრდნობა მათი აუდიტორული მოსაზრება,  
სხვასთან ერთად, იმ პრობლემების გათვალისწინებით, რომლებიც  
დაკავშირებულია ადამიანებთან კონტაქტის დამყარებასთან ან ინფორმაციის  
წვდომასთან, არსებითი უზუსტობების გარკვეული რისკების  
იდენტიფიკაციისა და შეფასების გადახედვასთან და შეცვალონ დაგემილი  
აუდიტორული პროცედურები ან ჩაატარონ ალტერნატიული ან  
დამატებითი აუდიტორული პროცედურები, როგორც ეს მიზანშეწონილი  
იქნება. აუდიტორებმა შეიძლება ასევე აღმოაჩინონ, რომ არსებული  
გარემოებები სხვაგვარად მოქმედდების საშუალებას იძლევა, მაგალითად,  
შეუძლიათ ახალი ტექნოლოგიური რესურსების გამოყენება, ან არსებულის  
გამოყენების შეცვლა.

დასასრულ, აუდიტზე შეიძლება გავლენა მოახდინოს გარემოსა და ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის ჯაჭვში მომზადარმა სხვა ცვლილებებმაც, როგორიცაა, მაგალითად ფინანსური ანგარიშების მოქმედი სტანდარტების ცვლილები, კანონქისა თუ სხვა მარეგულირებელ ნორმების ცვლილებები ან სუბიექტების ახალი ოპერაციები, როგორიცაა სუბსიდიების მიღება.

ვინაიდან შეიცვლება აუდიტის ჩატარების მიღებომა, კერძოდ, აუდიტორებმა სად და ოფიციალურად უნდა შეასრულონ თავიანთი სამუშაო, ფირმებს მოუწევთ ცვალებად გარემოზე სათანადო რეაგირების განხორციელება, მაგალითად, გარიგების სამუშაოს მართვასა და მათზე ზედამხედველობის გაწევასთან დაკავშირებული ხარისხის კონტროლის პოლიტიკისა და პროცედურების გათვალისწინებითა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მიმოხილვის ჩატარებით. გარიგების დონეზე, აუდიტორებმა უფრო კარგად უნდა გაიაზრონ თაღლითობის ან შეცდომის, მათ შორის თაღლითურად შედგენილი ფინანსური ანგარძებების შესაძლებლობა არსებულ ვითარებაში და, შესაბამისად, პროფესიული სკოპტიციზმის განწყობით მუშაობის მნიშვნელობა შეცვლილი უნდა ახსოვდეთ აუდიტორული პროცედურების ჩატარებისას.

ქვემოთ გამოყოფილია რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო, რომელთა უფრო დეტალურად განხილვა შეიძლება აუცილებელი გახდეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად საჭირო აუდიტორული პროცედურების შემცირებისა და ჩატარებისას და აუდიტორის დასკვნაში მათ შესახებ სათანადო ინფორმაციის მისაწოდებლად.



## შესაფერისი ასს

არსებითი  
უსუსტობის რისკების  
გამოვლენა და  
შეფასება  
ასს 315  
(გადასინჯული)

## განსახილველი სპეციფიკური საკითხები

- COVID-19-ის გავლენით გამოწვეული ახალი ან კორექტირებული რისკების გავლენა აუდიტის ჩატარების დაგეგმილ მიზანმაზე.

- უკვე განსაზღვრული რისკების შეფასებების გადახედვა.

- ცვლილებების გავლენა სუბიექტის შიდა კონტროლის შესახებ აუდიტორის მიერ ადრე შექმნილ წარმოდგენზე, როგორიცაა მათ შორის:
  - კონტროლის გარემო
  - გამოვლენილ არსებითი უზუსტობების რისკებზე რეაგირებისთვის განსახორცელებელი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით სუბიექტის კონტროლის მექანიზმებზე დაყრდნობის დაგეგმილის დონის შეცვლა.

შეფასებულ  
რისკებზე  
რეაგირება  
(ასს 330)

- შესაძლოა აუცილებელი გახდეს შეფასებულ რისკებზე რაეგირებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების შეცვლა შექმნილი გარემოებების გამო, როგორიცაა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობა (მაგ., ამჭამად შესაძლოა შეუძლებელი იყოს მარაგებთან წვდომა ან მარაგების ინვენტარზარის პრიცესზე დასწრება, რის გამოც შეიძლება აუცილებელი გახდეს ალტერნატიული პროცედურების ჩატარება).

ასს 540  
(გადასინჯული)  
სააღრიცხვო  
შეფასებების  
აუდიტი

- განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება შემდეგ საკითხებზე:
  - ფინანსური ანგარიშების დახურვის პროცესი (კერძოდ, ჰუდალტრული გატარებები და საანგარიშებით წილის ბოლოს განხორციელებული კორექტირებები).
  - ფინანსური ანგარიშების საკრთო წარდგნის შეფასება აუდიტორის მიერ, მათ შორის აუდიტორის მოსაზრება იმის თაობაზე, ადგკატურად არის თუ არა მომზადებული ფინანსური ანგარიშების შენიშვნები.
  - აუდიტორის დასკვნა იმის თაობაზე, მოპვებული აქვს თუ არა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები.

- განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება შემდეგ საკითხებზე:
  - მარგულიორებელი ფაქტორების ცვლილებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სააღრიცხვო შეფასებებზე (მაგ., ცვლილებები, რომლებიც გამოიჩნევა დროებით პრობლემური დებიტორების დასახმარებლად კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გარემოებების გათვალისწინებით).
  - გამოყენებული დამვებები შესაფერისა თუ არა არსებულ გარემოებებში და ფინანსური ანგარიშების წარდგნის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების კონტექსტში (მაგ., ფულადი ნაკადების პროგნოზები, დისკონტინუაციების განაკვთები და სხვ.).
  - სუბიექტის მიერ გამოიყენებული მონაცემები არის თუ არა შესაფერისი და სიმედი.
  - თანდაყოლილი რისკფაქტორების, განსაკუთრებით განუსაზღვრელობის ცვლილების გავლენა.



## შესაფერისი ასს

## განსახილველი სპეციფიკური საკითხები

აუდიტორის  
პასუხისმგებლობა  
შემდგომ  
მოვლენებთან  
დაკავშირებით  
(ასს 560)

- იმის გათვალისწინება, რომ ანგარიშგების ვადების შეცვლის შედეგად გაიზრდება პერიოდი (და, მაშასადამე, შესაბამისი რისკებიც) იმ მოვლენებისთვის, რომლებიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების თარიღსა და აუდიტორის დასკვნის თარიღს შორის ინტერვალში).

- ნებისმიერი არსებითი შემდგომი მოვლენის გამოვლენა, რომელიც დაკავშირებულია COVID-19-თან და იმის შეფასება, სათანადო ინფორმაცია გამჯდავნდა თუ არა ამ მოვლენის შესახებ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტორის  
პასუხისმგებლობა  
ფუნქციონირებადი  
საწარმოს სტატუს-  
თან დაკავშირებით  
(ასს 570  
(გადასინჯული))

- COVID-19-ის გავლენა (ე.ი. არსებითი გავლენა მოახდინა თუ მოსალოდნელია, რომ არსებით გავლენას მოახდენს) აუდიტორის მიერ გამოტანილ დასკვნაზე იმასთან დაკავშირებით, მართებულია თუ არა ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული სუბიექტის ფუნქციონირებადობის სტატუსის შეფასება.

- ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობის ან აუდიტორის დასკვნის მოდიფიცირების საკითხის ხელახლა განხილვა, საჭიროებისამებრ.

ჯუფის აუდიტი  
(ასს 600)

- საჭიროების შემთხვევაში, ჯუფის აუდიტორის მიერ კომპონენტის აუდიტორების სამუშაოსთან დაკავშირებით დაგეგმილი პროცედურების მიზანშეწონილობის ხელახლა შეფასება, როგორიცაა ჯგუფის აუდიტორის შესაძლებლობა, სათანადო მიმოხილვის კომპნენტის აუდიტორების სამუშაო (ან მონაწილეობა მიიღოს ამ სამუშაოთა შესრულებაში), ე.ი. აუცილებელია თუ არა ალტერნატიული პროცედურების გათვალისწინება და ასევე რა გავლენას ახდენს ეს საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებსაც ეყრდნობა ჯგუფის აუდიტორული მოსაზრება.



## შესაფერისი ასს

## განსახილველი სპეციფიკური საკითხები

მოსაზრების ჩამოყალიბება და დასკვნის  
წარდგენა ფინანსური ანგარიშგების  
შესახებ (მათ შორის აუდიტის მირითადი და საკითხების შესახებ)

(ასს 700 (გადასინჯული) და ასს 701)

- ყურადღება გაამახვილეთ ისეთ საკითხებზე, რომ შემღოთ დასკვნის გამოტანა, მათ შორის იმის შესახებ, სათანადო მოიცავით თუ არა აუდიტის ყველა ძირითადი ასპექტი, როგორიცაა, მაგალითად:

- სფეროები, რომელთა შესახებ შესაძლოა აუცილებელი გახდეს ხელმძღვანელობის მიერ დამტებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, მოცემული საკითხის სწრაფად ცვალებადი ბუნების გამო;
- COVID-19-ის ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი ახალი განუსაზღვრელობის, მაგ., სათანადო ცვლილებები შეტანილია თუ არა სააღრიცხვო შეფასებების გამოიყვლებში (მათ შორის გაუფასურების გაანგარიშებებში), გაზრდილი განუსაზღვრელობის გასათვალისწინებლად;
- ახალი ან შეცვლილი კანონებისა თუ მარეგულირებელი ნორმების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- აუდიტის ახალი ძირითადი საკითხები, რომლებიც უნდა აისახოს აუდიტორის დასკვნაში (თუ ასეთი არსებობს) (მაგ., საკითხები, რომლებმაც ისეთ დონეს მიაღწია, რომ საჭიროებს აუდიტორის მნიშვნელოვან ყურადღებას COVID-19-ის გავლენის გამო).

სხვა ინფორმაცია (ასს 720 (გადასინჯული))

- ნებისმიერი შეუსაბამობა სუბიექტის მიერ წლიურ ანგარიშსა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის, რომელიც ეხება COVID-19-ით გამოწვეული გარემოებების გავლენას.

## სხვა სამომავლოდ დაგეგმილი საგანგებო მითითებები

- პრიორიტეტული სფეროები, რომლებზეც ყურადღება უნდა გაამახვილდეს სააღრიცხვო შეფასებების აუდიტში COVID-19-ის გავლენის შედეგად შექმნილ ცვალებად გარემოში.
- განსახილველი პრიორიტეტული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსთან COVID-19-ის გავლენის შედეგად შექმნილ ახლანდელ ცვალებად გარემოში.
- განსახილველი პრიორიტეტული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია აუდიტორის დასკვნის შედეგნასთან COVID-19-ის გავლენის შედეგად შექმნილ ახლანდელ ცვალებად გარემოში.
- პრიორიტეტული საკითხები, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ საჯარო სექტორის აუდიტორებმა COVID-19-ის გავლენის შედეგად შექმნილ ახლანდელ ცვალებად გარემოში.

### ამ დოკუმენტში მითითებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები:

ასს 315 (გადასინჯული), არსებოთი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლის გზით ასს 330, აუდიტორის პროცედურები შეფასებულ რისკებზე რეაგირებისათვის

ასს 540 (გადასინჯული), სააღრიცხვო შეფასებებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების აუდიტი

ასს 560, შემდგომი მოვლენები

ასს 570 (გადასინჯული), ფუნქციონირებადი საწარმო

ასს 600, სპეციფიკური საკითხები - ჯგუფის ფინანსური ანგარიშების აუდიტი (კომპონენტის აუდიტორების სამუშაოს ჩათვლით)

ასს 700 (გადასინჯული), მოსაზრების ჩამოყალიბება და დასკვნის წარდგენა ფინანსური ანგარიშების შესახებ

ასს 701, აუდიტის ძირითადი საკითხების შესახებ ინფორმირება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში

ასს 720 (გადასინჯული), აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან მიმართებით





## *Highlighting Areas of Focus in an Evolving Audit Environment Due to the Impact of COVID-19*

*COVID-19-ის გავლენის შედეგად შექმნილ ცვალებად გარემოში  
გასათვალისწინებელი პრიორიტეტული საკითხები*

წინამდებარე დოკუმენტი „COVID-19-ის გავლენის შედეგად შექმნილ ცვალებად გარემოში გასათვალისწინებელი პრიორიტეტული საკითხები“, რომელიც მოამზადა აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭომ და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციამ (IFAC) ინგლისურ ენაზე გამოსცა 2020 წლის მარტში, ქართულ ენაზე თარგმნა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა 2020 წლის აპრილში და გამოიცემა IFAC-ის ნებართვით. IFAC-ის პუბლიკაციების დამტკიცებულ ტექსტად მიიჩნევა IFAC-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი. IFAC თავის თავზე არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე, ან ქმედებებზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მის გამოყენებას.

„COVID-19-ის გავლენის შედეგად შექმნილ ცვალებად გარემოში გასათვალისწინებელი პრიორიტეტული საკითხები“, ინგლისურენოვანი ტექსტი © 2020 წ. International Federation of Accountants (IFAC). ყველა უფლება დაცულია.

„COVID-19-ის გავლენის შედეგად შექმნილ ცვალებად გარემოში გასათვალისწინებელი პრიორიტეტული საკითხები“, ქართულენოვანი ტექსტი © 2020 წ. International Federation of Accountants (IFAC). ყველა უფლება დაცულია.

ორიგინალური ვერსიის სახელწოდება: *Highlighting Areas of Focus in an Evolving Audit Environment Due to the Impact of COVID-19*.

წინამდებარე დოკუმენტის გამრავლების, შენახვის, ან გადაცემის, ან სხვა ანალოგიური მიზნით გამოყენებისთვის ნებართვის მისაღებად დაგვიკავშირდით: [Permissions@ifac.org](mailto:Permissions@ifac.org)

გამოსცა:



თარგმნა:

